

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ლადო არველაძე — უცნობი
ქართველი ემიგრანტი მწერალი

Î¼Ń¼ƆĂĂÈĚÎİÊĂƆÎÆàÀÆÎ
À¼ĚĚáĂÈĚĴ
თბილისი
2023

რედაქტორი

დოდო ჭუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინტიტუტის ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და მთავარი მკვლევარი.

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2023

ავთანდილ ნიკოლეიშვილი © 2023

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით თუ საშუალებით, ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.), მექანიკურად, მათ შორის, ასლის გადაღების, ჩაწერის, ინფორმაციის შენახვის თუ ამოღების ნებისმერი სისტემის მეშვეობით, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

ISBN 978-9941-9844-3-3

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

77ა მ. კოსტავას ქუჩა, თბილისი, 0171, საქართველო

ტელ.: 2 55 22 22

info@ug.edu.ge,

ug@ug.edu.ge

შინაარსი

წინათქმა.....	5
შტრიხები ბიოგრაფიიდან.....	10
მემუარული ნარკვევი – „მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის“	36
მხატვრული პროზა.....	50
პუბლიცისტური წერილები.....	68
ბოლოთქმა.....	74
გამოყენებული ლიტერატურა.....	75
დანართი – ლადო არველაძის დისშვილი ინეზა ჩაჩუა-ღვანია ბიძამისის შესახებ.....	78
ლადო არველაძის მიერ მახლობელი ადამიანებისათვის ამერიკიდან და იტალიიდან გამოგზავნილი წერილები.....	86

წინათქმა

ლადო არველაძე, რომლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებისათვის ფაქტობრივად სრულიად უცნობია, მეოცე საუკუნეში ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ქართველი მწერალი იყო. სამწუხაროდ, შემოქმედებითი ნიჭით უდავოდ გამორჩეული ამ ბელეტრისტის მიერ შექმნილი მხატვრული ნააზრევებიდან საქართველოში აქამდე არაფერია გამოქვეყნებული.

პირველი მეტად ფრაგმენტული ცნობები ლადო არველაძის შესახებ საბჭოთა ეპოქაში დაიბეჭდა ჩვენს პრესაში, რაც არსებითად აღმოჩნდა განპირობებული ემიგრაციაში მყოფი მწერლის სტუმრობით თავის სამშობლოში. კერძოდ, ლადო არველაძე მის იტალიელ მეუღლესთან - იტალია ტროიანთან ერთად პირველად და უკანასკნელად 1972 წელს ესტუმრა სამშობლოს მისი დისწულის - მაგული ჩაჩუაცხვარაძის მოწვევით. თბილისში გატარებული რამდენიმე დღის შემდეგ მწერალი მეუღლესთან ერთად მშობლიურ სამტრედიას ეწვია, მაგრამ ავად გახდა, რის გამოც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჯერ სამტრედიის რკინიგზის საავადმყოფოში მკურნალობდა, შემდეგ კი თბილისში ე. წ. „ლეჩკომბინატში.“

მკითხველისათვის ადვილად გასაგები გარემოებიდან გამომდინარე, სამშობლოში მწერლის იმდროინდელ ყოფნასთან დაკავშირებით მაშინდელ პრესაში ფაქტობრივად არაფერი დაბეჭდილა გარდა ერთადერთი, ინფორმაციულად ძალიან მწირი, ინტერვიუსი, რომელიც ცოლ-ქმრისაგან აიღო და გაზეთ „სამშობლოს“ 1972 წლის 27 დეკემბრის ნომერში გამოაქვეყნა ვაჟა ნიკოლეიშვილმა.

ლ. არველაძის შესახებ შემდეგი წერილი ვახტანგ ესვანჯიამ და-
ბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ 1989 წლის 13 აპრილს. როგორც ამ პუბ-
ლიკაციით ვგებულობთ, საქართველოში ჩამოსვლა ლ. არველაძეს
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის
საქართველოს საზოგადოებისა და ამ საზოგადოების გაზეთის - „სამ-
შობლოს“ მიერ მისთვის მიცემული შუამდგომლობის საფუძველზე
მოუხერხებია.

სამწუხაროდ, ინფორმაციულად ღარიბ ამ პუბლიკაციაშიც მწერ-
ლის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით ახალი მხოლოდ ის იყო ნათქვა-
მი, რომ გარდა იტალიისა, თავისი ცხოვრების გარკვეული პერიოდი
ლ. არველაძეს ამერიკაში გაუტარებია. ნათქვამის დაზუსტების მიზ-
ნით დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან:
„ომის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე ფაშისტებს გამოეცა
და მშიერ-მწყურვალი დიდხანს დაეხეტებოდა იტალიის ქალაქებსა
და სოფლებში. ბოლოს ვერონაში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე,
მედიცინის და, სიკეთითა და სათნოებით სავსე ქალი - იტალია, რო-
მელსაც სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი. ომისგან გაპარტახე-
ბულ იტალიაში ცხოვრება სულ უფრო ძნელი, აუტანელი ხდებოდა
და ცოლ-ქმარმა ამერიკას მიაშურა. ლადო ძლივს მოეწყო კარისკაცად
ერთ სასტუმროში, ცოლი კი სანიტრად მუშაობდა საავადმყოფოში...

მერე პენსიაში გავიდნენ. ამის მერე იტალიაში დაბრუნდნენ, რომ-
ში დასახლდნენ. გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოში დაბრუნე-
ბა საცხოვრებლად. აქ მინდა დავიმარხოო. ვერ ქნა. ორივე იტალიაში
დაიღმარა.“

გაზეთ „კომუნისტის“ იმავე, 1989 წლის 13 აპრილის, ნომერში ვ. ეს-
ვანჯიამ ლ. არველაძის მიერ თარგმნილი ანდრეი სედიხის წერილიც
გამოაქვეყნა. ხსენებული პუბლიკაციის ავტორი ნიუ-იორკში მცხოვ-
რები რუსი ებრაელი იყო, იქ გამომავალი გაზეთის - „ნოვოე რუსკოე
სლოვოს“ მთავარი რედაქტორი, ლ. არველაძის ინფორმაციით, „მე-

ტისმეტად სიმპატიურად განწყობილი საქართველოს და ქართველი ხალხის მიმართ.“

ა. სედიხის წერილით ლ. არველაძის დაინტერესება არსებითად განპირობა იმ ფაქტმა, რომ თავისი ამ პუბლიკაციით ავტორი მკითხველს ნიუ-იორკში სუბიშვილების ანსამბლის გასტროლების შედეგად მიღებულ ღრმად შთამბეჭდავ ემოციებს უზიარებდა მკითხველს. როგორც ცნობილია, ქართული ანსამბლი ნიუ-იორკს 1955 წელს ესტუმრა და „კარნეგი ჰოლის“ საკონცერტო დარბაზში სამი კონცერტი გამართა, რასაც უამრავი ხალხი დასწრებია.

იმის ნათელსაყოფად, კონცერტზე მისულ მაყურებლებზე ქართველ მოცეკვავეთა ცეცხლოვან გამოსვლებს რა დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, დავიმოწმებ ფრაგმენტს სედიხის ხსენებული პუბლიკაციიდან: „მოცეკვავეები დოლის და აღმოსავლური საკრავების რიტმზე დაფრინავენ სცენაზე როგორც შავი ფრინველები შავ ნაციონალურ კოსტუმებში, ვერცხლით მოჭედილი ხანჯლებით და სირმებით განწყობილი ჩოხებით. მიწის მიზიდულობის კანონი მათთვის არ არსებობს. მაყურებელს არ ყოფნის მხედველობა, მათი ფეხების ქარიშხლისებური მოძრაობა რომ კარგად გააჩიოს.“

მიუხედავად მაყურებელთა ასეთი საყოველთაო აღფრთოვანებისა, სუბიშვილების კონცერტს განსაკუთრებული მღელვარებით პირველ ყოვლისა მაინც ქართველი ემიგრანტები რომ შეხვედრიან. ამის ნათელსაყოფად პუბლიკაციის ავტორი ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: „მესამე სპექტაკლის დასრულების შემდეგ ქ. ნიუ-იორკის ბალეტის ხელმძღვანელმა ჟორჟ ბალანჩინმა მთელი ქართული ანსამბლი ფრანგულ რესტორანში მიიპატიჟა ვახშამზე. წვეულებას შეუერთდა აგრეთვე ბევრი ვარსკვლავი ნიუ-იორკის ბალეტიდან. ერთი სიტყვით, ბალანჩინმა ხელოვნების მთელ ნაღებს მოუყარა თავი“ („კომუნისტი“, 1989 წ. 13 აპრილი).

ხსენებული პუბლიკაციებისაგან განსხვავებით, ლადო არველაძის

ბიოგრაფიასთან დაკავშირებით უფრო მეტ ინფორმაციას გვაწვდის ლელა ჭანკოტაძე იმ ინტერვიუს მეშვეობით, რომელიც მან მწერლის დისშვილისგან - მაგული ჩაჩუა-ცხვარაძისგან აიღო და გამოაქვეყნა ჟურნალ „გზის“ 2005 წლის 38-ე ნომერში.

რაც შეეხება ლადო არველაძის შემოქმედებას, იგი ფაქტობრივად დღემდე რჩება არა მარტო ფართო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობ და ხელმიუწვდომელ ლიტერატურულ მემკვიდრეობად, არამედ სპეციალისტებისთვისაც კი. მწერლის მიერ შექმნილი ლიტერატურული ტექსტების ნახვა არასრულყოფილი სახით დღესდღეობით მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართული ემიგრაციის მუზეუმშია შესაძლებელი (ამჟამად ეს მასალები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში).

ეს ტექსტები საქართველოში ქართული ემიგრაციის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა გურამ შარაძემ ჩამოიტანა. მწერლის ლიტერატურული ქმნილებებით იგი იმდენად ყოფილა დაინტერესებული, რომ მათი წიგნად გამოცემაც ჰქონია განზრახული, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ცხოვრებისეული გზის ტრაგიკულად დასრულების გამო, ამ მიზნის ხორცშესხმა არ დასცალდა.

პირველი ვრცელი ნარკვევი, რომელიც ლადო არველაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძვლიანად განხილვის მცდელობას წარმოადგენს, ამ სტრიქონების ავტორს ეკუთვნის. იგი 2015 წელს გამოქვეყნდა ჩემი „ქართველოლოგიური ეტიუდების“ მეორე ტომში (იხ: ნიკოლეიშვილი, 2005: 325-372). ლ. არველაძის შემოქმედებას მიეძღვნა აგრეთვე სხვადასხვა დროს გამართულ სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული ჩემი რამდენიმე მოხსენებაცა და ამ მოხსენებათა ნაბეჭდი ტექსტებიც.

ლ. არველაძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი ჩემი ინტერესი ამით არ დამთავრებულა და ამ დროიდან მოყოლებული კვლავაც ვცდილობდი ახალი მასალების მოძიებასა და წინამდებარე ნარკვევის კიდევ უფრო სრულყოფას.

ლადო არველაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ქართული ემიგრაციის მუზეუმში საბეჭდო მანქანაზე აკრებილი და კუსტარულად გამოცემული ოთხი კრებული იყო დაცული: ესენია: 1. მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის, წიგნი III, გვ. 110, პარიზი, 1963 წ. 2. მოთხრობები, ნიუ-იორკი, 1964 წ. გვ. 156. 3. პატარა მოთხრობები, ნიუ-იორკი, 1965 წ. გვ. 154. 4. მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის, წიგნი VI, ნიუ-იორკი, 1966 წ. 216 გვ.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გარდა დასახელებული ხელნაბეჭდი წიგნებისა, ლ. არველაძესთან დაკავშირებით სხვა რაიმე მასალა არც ხსენებულ მუზეუმში იყო დაცული და არც საქართველოს სხვა რომელიმე დაწესებულებაში.

მართალია, თავის მოგონებათა წიგნში – „მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის“ მწერალი საკმაოდ საინტერესოდ და დაწვრილებით მოგვითხრობს საკუთარი ცხოვრების ამბავს, მაგრამ რადგანაც ხსენებული ტექსტის პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე წიგნები ჩემთვის იმხანად ჯერ-ჯერობით ხელმიუწვდომელი იყო, ამ მასალების მიხედვით ლ. არველაძის ცხოვრებისეული გზის სრულყოფილად გააზრება იმხანად ვერ მოხერხდა.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ლ. არველაძის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით არსებულ ამ ხარვეზს მნიშვნელოვანწილად ავსებს წინამდებარე ნარკვევის ბოლოს გამოქვეყნებული ის წერილები, რომლებიც მწერალს მისი მახლობელი ადამიანებისთვის აქვს გამოგზავნილი ნიუ-იორკიდან და რომიდან.

შტრიხები ბიოგრაფიიდან

როგორც უკვე ითქვა, მწერლის ნაწერების გაცნობამ ჩემზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ აქტიურად დავიწყე მათი ავტორის შესახებ ცნობების შეკრება. თუმცა ჩემს ამ ძიებას რეალური შედეგი ბოლო დრომდე არ მოჰყოლია. ინტერენტშიც რამდენჯერმე განვათავსე განცხადება, თუ ვინმემ რაიმე იცოდა ამ პიროვნების შესახებ, შემომხმიანებოდა, მაგრამ არც ამ განცხადებებს გამოხმაურებია ვინმე.

და აი, ამ რამდენიმე თვის წინათ, სრულიად შემთხვევით, შევითქვე, რომ ემიგრაციაში მყოფი მწერალი სამტრედიიაში მცხოვრებ მის დის-შვილს - მაგული ჩაჩუა-ცხვარაძეს 1972 წელს საქართველოში ჰყოლია სტუმრად მოწვეული.

ამ ამბის შეტყობით გახარებულმა სამტრედიიაში მცხოვრები ჩემი მეგობრის - ისტორიკოს იუსტინე ჯანელიძის დახმარებით მაგული ჩაჩუა-ცხვარაძესთან დაკავშირება ვცადე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილიყო. თუმცა ბატონმა ისიდორემ თბილისში მცხოვრები მისი დის - ინეზა ჩაჩუა-ღვანიას მისამართი და ტელეფონის ნომერი გამიგო. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ უკვე ქალბატონ ინეზას დაუკავშირდი და ლადო არველაძის შესახებ მასალების მოძიებაში დახმარება ვთხოვე.

ქალბატონი ინეზა ჩემმა თხოვნამ ძალიან გაახარა და ამ ამბით დიდად აღელვებულმა ყოველგვარი დახმარება აღმითქვა. მის თანხმობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც სძენდა, რომ იგი მათ საოჯახო არქივში დაცული ლადო არველაძის იმ წერილების ქსეროასლების გადმოცემასაც დამპირდა, რომლებიც მწერალს მისი მახლობელი ადამიანებისათვის ამერიკიდან და იტალიიდან ჰქონდა გამოგზავნილი.

ამ პროცესში მალე ქალბატონი ინეზას ოჯახის წევრებიც ჩაერთვნენ, პირველ ყოვლისა, მისი შვილიშვილი ზურა ღვანია, რომელმაც პირობა მომცა, რომ ხსენებული დოკუმენტური მასალების ქსეროასლებს სასწრა-